

2008 წელი

25 დეკემბერი, 2008 წელი

სასჯელადსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ლექტორები ფრანგულის ენის კურსს გაივილიან

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელადსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის სამი ლექტორი, საფრანგეთის საელჩოს დაფინანსებით, დიუმას ცენტრში გადამზადებას გაივილიან.

სასწავლო ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ნატო გუგავას ინფორმაციით, ფრანგული ენის კურსის დასრულების შემდეგ ლექტორები საფრანგეთის სასჯელადსრულების ადმინისტრაციის სკოლაში გაემგზავრებიან, სადაც გამოცდილებას გაიღრმავებენ. დიუმას ცენტრში გადამზადებისათვის შეირჩნენ ის ლექტორები, რომელთაც ფრანგულის საბაზისო ცოდნა აქვთ.

ორი ქვეყნის სასჯელადსრულებისა და პრობაციის სისტემის სასწავლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმების შესახებ გადაწყვეტილება უკვე მიღებულია. ლექტორების გადამზადებასთან ერთად, ფრანგი კოლეგები ქართველებს სასჯელადსრულებისა და პრობაციის სისტემის პერსონალის გადამზადებაშიც დაეხმარებიან.

15 დეკემბერი, 2008 წელი

სასჯელადსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი საფრანგეთის სასჯელადსრულების ადმინისტრაციის სკოლასთან ითანამშრომლებს

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელადსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი საფრანგეთის სასჯელადსრულების ადმინისტრაციის ეროვნული სკოლასთან აქტიურად ითანამშრომლობს.

მომავალ წელს ამ ორ უწყებას შორის გაფორმდება გრძელვადიანი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, რომელიც ითვალისწინებს სასჯელადსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ლექტორების მომზადებას, სასწავლო ვიზიტებს უცხოური გამოცდილების გაზიარებისათვის. ამასთან, ფრანგი სპეციალისტები ჩაერთვებიან სასჯელადსრულებისა და პრობაციის სისტემის პერსონალის გადამზადებაში.

ამის შესახებ შეთანხმება შედგა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლების საფრანგეთში ვიზიტისას, რომელიც „ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მისია საქართველოში“ (OSCE) დაფინანსებითა და საფრანგეთის საელჩოს მხარდაჭერით განხორციელდა. დელეგაციაში შედიოდნენ: სასჯელადსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ნატო გუგავა, სასწავლო ცენტრის ლექტორი კახაბერ წიქარიშვილი, სასჯელადსრულების დეპარტამენტის ქალთა და არასრულწლოვანთა მე-5 საერთო და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულების დირექტორი მედეა ალანია და არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სამსახურის უფროსის მოადგილე ირაკლი ჩხარტიშვილი. ისინი გაეცნენ ადგილობრივი სასწავლო ცენტრის სტრუქტურას, სასწავლო პროგრამებსა და სწავლების მეთოდებს, დაათვალიერეს საფრანგეთის სასჯელადსრულების დაწესებულება და გაეცნენ საფრანგეთის პრობაციის სისტემის მუშაობას.

12 დეკემბერი, 2008 წელი

სასჯელადსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში სემინარი დასრულდა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელადსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში დასრულდა ხუთდღიანი სემინარი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სამსახურის თანამშრომელთათვის.

სასწავლო ცენტრის ეგიდითა და ევროკომისიის „სასჯელადსრულებისა და პრობაციის სისტემის რეფორმის“ პროექტის ფარგლებში მიმდინარე ღონისძიება 8 დეკემბერს დაიწყო. პირობით მსჯავრდებულთა რისკისა და საჭიროებების შეფასებასა და სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის მეთოდებსა და დაკავშირებით სპეციალური მომზადება 70-მა პრობაციის ოფიცერმა გაიარა.

რისკისა და საჭიროებების შეფასების ფაქტორის გათვალისწინებით სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის სისტემის სპეციფიკაზე და მის პრაქტიკულ ასპექტებზე ისაუბრეს შვედეთის ციხისა და პრობაციის სამსახურის წარმომადგენლებმა ოლგა ოტტიმ, სესილია ალგელუსმა და გუნჰილდ ფრიდმა.

სემინარის მონაწილეებს გადაეცათ სასჯელადსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის მიერ გამოცემული ლიტერატურა: „პრობაციის სისტემათა პალიტრა ევროპაერთაინებაში შემავალ ქვეყნებში“ და „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების და პრობაციის სფეროში მოქმედი საქართველოს ნორმატიული აქტების კრებული“.

სემინარის მსმენელებს მონაწილეობის სერტიფიკატი გადაეცემათ.

სემინარი პრობაციის ეროვნული სამსახურის თანამშრომელთათვის

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სამსახურის თანამშრომელთათვის სემინარი მიმდინარეობს. ხუთდღიანი ღონისძიება სასწავლო ცენტრის ეგიდითა და ევროკომისიის მიერ დაფინანსებული პროექტის „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის რეფორმა საქართველოში“ ფარგლებში მიმდინარეობს.

სწავლების თემა: პირობით მსჯავრდებულთა რისკისა და საჭიროების შეფასება და სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვა.

პრობაციის სფეროს ექსპერტები ქართველ კოლეგებს შვედეთის გამოცდილებას უზიარებენ პრობაციონერებზე ეფექტიანი კონტროლის დამყარების მექანიზმებთან დაკავშირებით. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პირობით მსჯავრდებულებზე დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკის შეფასების მეთოდოლოგიის გამოყენებას. აღნიშნული რისკების მიხედვით კი უნდა შედგეს სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმა.

სასწავლო კურსს უძღვებიან შვედეთის ციხისა და პრობაციის სამსახურის თანამშრომლები: გუნჰილდ ფრიდჰი (პროექტის მენეჯერი), პერ ბიორგკრენი, ოლგა ოტტი და სესილია ალგელიუსი.

სასწავლო კურსი 12 დეკემბერს დასრულდება და მას პრობაციის სამსახურის 75 თანამშრომელი გაივლის.

9 დეკემბერი, 2008 წელი

იუსტიციის სამინისტროს დელეგაცია საფრანგეთში გაემგზავრა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლები საფრანგეთში, ამ ქვეყნის სასჯელაღსრულების ადმინისტრაციის ეროვნული სკოლის მუშაობის გასაცნობად გაემგზავრა.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან: სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ნატო გუგავა, სასწავლო ცენტრის ლექტორი კაბაბერ წიქარიშვილი, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ქალთა და არასრულწლოვანთა მე-5 საერთო და საპყრობილის რეჟიმის დაწესებულების დირექტორი მედეა ალანია და არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სამსახურის უფროსის მოადგილე ირაკლი ჩხარტიშვილი. ვიზიტი „ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მისია საქართველოში“ (OSCE) დაფინანსებითა და საფრანგეთის საელჩოს მხარდაჭერით ხორციელდება.

საფრანგეთში დელეგაციის წევრები გაეცნობიან ადგილობრივი სასწავლო ცენტრის სტრუქტურას, სასწავლო პროგრამებსა და სწავლების მეთოდებს, დაესწრებიან პრაქტიკულ მეცადინეობებს. ამასთან, დაათვალიერებენ საფრანგეთის სასჯელაღსრულების დაწესებულებებს და გაეცნობიან საფრანგეთის პრობაციის სისტემის მუშაობას. ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრისა და საფრანგეთის სასჯელაღსრულების ადმინისტრაციის ეროვნული სკოლის წარმომადგენლებს შორის გრძელვადიანი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმებაზე შეთანხმება შედგება.

ვიზიტი, რომელსაც კოორდინირებს საქართველოში ეუთოს მისიის მრჩეველი კანონის უზენაესობის საკითხებში თამარ მამუკელაშვილი უწევს, მიმდინარე წლის 13 დეკემბრამდე გასტანს.

8 დეკემბერი, 2008 წელი

სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომლებმა სწავლების კურსი გაიარეს

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში, სპეციალიზებული სასწავლო პროგრამის მიხედვით, სასჯელაღსრულების სისტემის რეჟიმის თანამშრომელთა გადამზადების მეორე ეტაპი დასრულდა.

სწავლება პენიტენციური სისტემის 225 თანამშრომელმა გაიარა. ისინი ექვს ჯგუფში იყვნენ განაწილებულნი. სასწავლო პროცესის მონაწილეებს გადაეცათ სასწავლო ცენტრის ეგიდით „შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს“ (SIDA) დაფინანსებითა და „გაეროს განვითარების პროგრამის“ (UNDP) ხელშეწყობით დაბეჭდილი სახელმძღვანელოები: „სასჯელაღსრულების სფეროში მოქმედი ადგილობრივი და საერთაშორისო დოკუმენტების კრებულის“ 2008 წლის გამოცემა და „არასრულწლოვან, ქალ და უვადო თავისუფლებადკვეთილ პატიმრებთან მოპყრობის თავისებურებანი“.

სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ მონაწილეებს ჩაუტარდათ ტესტირება, მონაწილეთაგან ყველას გადაეცა შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერთიფიკატები.

აღნიშნული ღონისძიება „ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მისია საქართველოში“ (OSCE) ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა.

სახელმძღვანელო სასჯელადსრულების სისტემის თანამშრომელთათვის



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელადსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრმა კიდევ ერთი ახალი სახელმძღვანელო გამოსცა, სახელწოდებით: „არასრულწლოვანი, ქალ და უვადო თავისუფლებადსრულებით პატიმრებთან მოპყრობის თავისებურებანი“, რომელიც სასჯელადსრულების სისტემის თანამშრომლებისათვის არის განკუთვნილი. წიგნის ავტორია სასწავლო ცენტრის ლექტორი გივი მიქანაძე, ხოლო რედაქტორი - ეკატერინე ქირია. გამოცემა მომზადდა და დაიბეჭდა შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (SIDA) და გაეროს განვითარების ფონდის (UNDP) პროექტის „სასჯელადსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის განვითარების ხელშეწყობის“ ფინანსური მხარდაჭერით. არასრულწლოვანი, ქალ და უვადო თავისუფლებადსრულებით პატიმრებთან მოპყრობის გარდა, სახელმძღვანელოში განხილულია არასრულწლოვანი, ქალ და უვადო თავისუფლებადსრულებით პატიმრებთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობა და საერთაშორისო დოკუმენტები.

სასჯელადსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრმა ახალი სახელმძღვანელო გამოსცა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელადსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრმა ახალი სახელმძღვანელო გამოსცა სახელწოდებით: „პრობაციის სისტემათა პალიტრა ევროგაერთიანებაში შემსვლელ ქვეყნებში“. გამოცემა მომზადდა და დაიბეჭდა შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა (SIDA) და გაეროს განვითარების ფონდის (UNDP) პროექტის „სასჯელადსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის განვითარების ხელშეწყობის“ ფინანსური მხარდაჭერით. სახელმძღვანელოს რედაქტორია ეკატერინე ქირია, ხოლო თარგმანი ალექსანდრე არაყიშვილს ეკუთვნის. წიგნში, პრობაციის სისტემის ძირითად საკითხებთან ერთად, განხილულია ბულგარეთის, ჩეხეთის რესპუბლიკის, ესტონეთის, უნგრეთის, ლატვიის, ლიტვის, რუმინეთისა და სლოვენის მაგალითები.

სასჯელადსრულების სისტემის თანამშრომელთა გადამზადების მორიგი ეტაპი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელადსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში დღეს სასჯელადსრულების სისტემის რეჟიმის თანამშრომელთა გადამზადების მეორე ეტაპი დაიწყო, რომელიც 5 დეკემბრამდე გასტანს. სწავლება სასჯელადსრულების სისტემის რეჟიმის 270 თანამშრომლისათვის 6 ჯგუფად ჩატარდება და სპეციალიზებული სასწავლო პროგრამის მიხედვით წარიმართება. სასწავლო პროცესის მონაწილეებს გადაეცემათ სახელმძღვანელოები „სასჯელადსრულების სფეროში მოქმედი ადგილობრივი და საერთაშორისო დოკუმენტების კრებული“ და „არასრულწლოვანი, ქალ და უვადო თავისუფლებადსრულებით პატიმრებთან მოპყრობის თავისებურებანი“, რომლებიც სასწავლო ცენტრის ეგიდით შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (SIDA) დაფინანსებითა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ხელშეწყობით დაიბეჭდა. სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ ტესტირება ჩატარდება, რომლის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში სწავლების მონაწილეებს გადაეცემათ შესაბამისი სერტიფიკატები. ღონისძიება საქართველოში ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მისიის (OSCE) ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება.

სახელმძღვანელო სასჯელადსრულების დაწესებულებების მართვის თემაზე

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელადსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრმა კიდევ ერთი სახელმძღვანელო გამოსცა, რომელიც რეფორმების პერიოდში სასჯელადსრულების დაწესებულებების მართვას ეხება. გამოცემა გაეროს განვითარების პროექტისა და შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით მომზადდა და დაიბეჭდა. წიგნის ავტორი ინგლისელი მკვლევარი ენდრიუ კოილია, რომელიც რეფორმის პროცესში სასჯელადსრულების სისტემის მართვის თავისებურებებზე დიდი ბრიტანეთის, ჰოლანდიის, პოლონეთის, შვედეთისა და შოტლანდიის მაგალითებით საუბრობს. სასწავლო ცენტრი სახელმძღვანელოს სასჯელადსრულების სისტემის თანამშრომელთა გადამზადებისას გამოიყენებს.

9 სექტემბერი, 2008 წელი

სახელმძღვანელო სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის თანამშრომელთათვის

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრმა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სფეროში ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციებს სპეციალური გამოცემა მიუძღვნა.

სახელმძღვანელო შედეგების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერითა და გაეროს განვითარების პროექტის ხელშეწყობით მომზადდა და დაიბეჭდა.

რეკომენდაციები ეხება მსჯავრდებულებთან მოპყრობის, ჯანმრთელობის დაცვის, შრომის, პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების ევროპულ სტანდარტებს.

აღნიშნული გამოცემა ერთ-ერთია იმ სახელმძღვანელოთა შორის, რომლის მიხედვითაც სასწავლო ცენტრში მიმდინარეობს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სფეროს თანამშრომელთა გადამზადება. ამ პროცესში კი განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სასჯელის აღსრულების სფეროში დადგენილ საერთაშორისო სტანდარტებს.

1 აგვისტო, 2008 წელი

პრობაციის სფეროში მოქმედი ნორმატიული აქტების კრებული გამოიცა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრმა არასაკატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის სფეროში მოქმედი საქართველოს ნორმატიული აქტების კრებული გამოსცა.

გამოცემა შედეგების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერითა და გაეროს განვითარების პროგრამის ხელშეწყობით მომზადდა და დაიბეჭდა.

კრებული, რომლის რედაქტორია იუსტიციის სამინისტროს ნორმატიული აქტების რეგისტრაციისა და კოდიფიკაციის სამმართველოს უფროსი გუგული თავაძე, პრობაციის სისტემის თანამშრომელთა სამაგიდო წიგნის ფუნქციას შეასრულებს.

14 ივლისი, 2008 წელი

სახელმძღვანელო სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სოციალური სფეროს თანამშრომელთათვის

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ეგიდით პენიტენციურ სისტემაში დასაქმებულ სოციალურ მუშაკთათვის სახელმძღვანელო გამოიცა.

გამოცემა მომზადდა და დაიბეჭდა შედეგების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერითა და გაეროს განვითარების პროგრამის ხელშეწყობით.

წიგნში, რომლის ავტორია მია ხასია, მიმოხილულია ის საკანონმდებლო ბაზა, რასაც სასჯელაღსრულების სისტემაში მომუშავე სოციალური სფეროს მუშაკები იყენებენ ყოველდღიურ საქმიანობაში. ამასთან, გამოცემაში წარმოდგენილია საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება.

7 ივლისი, 2008 წელი

სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომლები სასწავლო კურსს გაივლიან

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში დღეს, სპეციალიზებული სასწავლო პროგრამის მიხედვით, სასჯელაღსრულების სისტემის რეჟიმის თანამშრომელთა გადამზადება დაიწყო. ღონისძიება 3 ეტაპად ჩატარდება. პირველი ეტაპი, რომელზეც სწავლებას სასჯელაღსრულების სისტემის რეჟიმის 120 თანამშრომელი გაივლის, 16 აგვისტოს დასრულდება. გადამზადების პროცესი წლის ბოლომდე გასტანს. სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ მონაწილეებს ჩაუტარდება ტესტირება, რომლის წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში, შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატი გადაეცემათ.

აღნიშნული ღონისძიება „ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მისია საქართველოში“ (OSCE) ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება.

13 ივნისი, 2008 წელი

პრობაციის ოფიცერთა მომზადების კურსი დასრულდა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში დღეს დასრულდა პრობაციის ოფიცერთა სასწავლო პროგრამა, რომელიც ევროკომისიის სასჯელაღსრულებისა და პრობაციის რეფორმის პროექტის ფარგლებში 4 ივნისს დაიწყო.

პირობით მსჯავრდებულთა რისკისა და საჭიროებების შეფასებასა და სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით სპეციალური მომზადება 82-მა პრობაციის ოფიცერმა გაიარა.

რისკისა და საჭიროებების შეფასების ფაქტორის გათვალისწინებით, სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის სისტემის სპეციფიკაზე და მის პრაქტიკულ ასპექტებზე ისაუბრეს შედეგების ციხისა და პრობაციის სამსახურის წარმომადგენლებმა ოლგა ოტტიმ და სესილია ალგელუსმა. უცხოელ ექსპერტებთან ერთად, ლექტორებად მოწვეულნი იყვნენ

თბილისის პრობაციის ოფიცრები სულიკო დათუაშვილი, ბადრი თხელიძე და დავით მაისურაძე, რომლებიც პილოტური პროექტის ფარგლებში, პირობით მსჯავრდებულთა განსაზღვრულ კონტიგენტთან ურთიერთობაში აღნიშნულ მეთოდს იყენებენ. მათ კოლეგებს პირობით მსჯავრდებულთან გასაუბრების ჩატარებისა და ინტერვიუს ჩამორთმევის თავისებურებები გააცნეს.

4 ივნისი, 2008 წელი

პრობაციის ოფიცრები სასწავლო კურსს გაივლიან

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში დღეს, ევროკომისიის სასჯელაღსრულებისა და პრობაციის რეფორმის პროექტის ფარგლებში, პრობაციის ოფიცერთათვის სასწავლო კურსი დაიწყო. სწავლების თემა: რისკისა და საჭიროებების შეფასება და სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვა. სემინარს უძღვებიან შვედეთის ციხისა და პრობაციის სამსახურის ექსპერტები, ოლგა ოტტი და სესილია ალგელიუსი. სასწავლო კურსი 13 ივნისს დასრულდება.

16 მაისი, 2008 წელი

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლებმა სასწავლო კურსი გაიარეს

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში დღეს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომელთათვის სამდღიანი სასწავლო კურსი დასრულდა. სწავლების თემა იყო სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვა, რისკისა და საჭიროების შეფასება. სემინარს ესტონელი ექსპერტი ლაურა კიკასი უძღვებოდა. სასწავლო კურსი, რომელიც ევროკომისიის სასჯელაღსრულებისა და პრობაციის რეფორმის ფარგლებში ჩატარდა, რუსთავის №6 დაწესებულების 10-მა თანამშრომელმა გაიარა. მათ შესაბამისი სერტიფიკატები გადაეცათ.

14 მაისი, 2008 წელი

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლები სასწავლო კურსს გაივლიან

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში დღეს, ევროკომისიის სასჯელაღსრულებისა და პრობაციის რეფორმის ფარგლებში, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომელთათვის სასწავლო კურსი დაიწყო. სწავლების თემა: სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვა, რისკისა და საჭიროების შეფასება. სამდღიანი სასწავლო კურსს, რომელსაც რუსთავის №6 დაწესებულების 10 თანამშრომელი გაივლის, ესტონელი ექსპერტი ლაურა კიკასი უძღვება.

7 აპრილი, 2008 წელი

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ლექტორების სწავლება დასრულდა

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში დასრულდა ცენტრის ლექტორთა სამდღიანი სწავლება, რომელიც სასწავლო ცენტრის ეგიდითა და გაერო-ს ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა. სწავლების თემა იყო: საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო რეგიონალური სტანდარტები და წესები. ექსპერტებად მიწვეულნი იყვნენ: ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ხელმძღვანელი გიორგი ჩხეიძე, გაეროს ექსპერტი ლევან ლაბაური და სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი გიორგი გიორგაძე. სასწავლო კურსი 15-მა ლექტორმა გაიარა. მათ ციხის თანამშრომელთათვის განკუთვნილი, გაეროს ადამიანის უფლებათა კონვენციასთან დაკავშირებული სახელმძღვანელოები გადაეცათ.

4 აპრილი, 2008 წელი

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ლექტორები სამდღიან სწავლებას გაივლიან

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში დღეს, სასწავლო ცენტრის ეგიდითა და გაერო-ს ფინანსური მხარდაჭერით, ცენტრის ლექტორებისთვის სამდღიანი სასწავლო კურსი დაიწყო. სწავლების თემა: საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო რეგიონალური სტანდარტები და წესები. სასწავლო კურსი 15 ლექტორი გაივლის. ექსპერტებად მიწვეულნი არიან: ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ხელმძღვანელი გიორგი ჩხეიძე, გაერო-ს ექსპერტი ლევან ლაბაური და სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენელი გიორგი გიორგაძე.

19 მარტი, 2008 წელი

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ლექტორებს სერტიფიკატი გადაეცათ
საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში დასრულდა ლექტორთა ხუთდღიანი სასწავლო პროგრამა, რომელსაც შვედი, ლიტველი და ესტონელი ექსპერტები უძღვებოდნენ. „შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო“-ს (SIDA) მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში, სპეციალურ მომზადება ცენტრის 15-მა ქართველმა ლექტორმა გაიარა. მათ დღეს შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატი გადაეცათ.

13 მარტი, 2008 წელი

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ლექტორები უცხოელი კოლეგების გამოცდილებას ეცნობიან

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში დღეს დაიწყო ლექტორთა სწავლების პროგრამა, რომელსაც შვედი, ლიტველი და ესტონელი ექსპერტები უძღვებიან. „შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტო“-ს (SIDA) მიერ დაფინანსებული სასწავლო პროექტის ფარგლებში, სპეციალურ მომზადებას ცენტრის 15 ქართველი ლექტორი გაივლის. იუსტიციის მინისტრის მოადგილემ მაია კოპალეიშვილმა ღონისძიების გახსნაზე აღნიშნა, რომ სასწავლო ცენტრის ლექტორებმა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემათა თანამშრომლები თანამედროვე დონეზე უნდა მოამზადონ, ამიტომ მნიშვნელოვანია პენიტენციურ სფეროში ევროპული გამოცდილების შესწავლა. მან იმედი გამოთქვა, რომ ღონისძიება წარმატებული იქნება. სწავლება 5 დღეს გასტანს. პროგრამის დასასრულს მონაწილეებს შესაბამისი სერტიფიკატი გადაეცემა.

26 თებერვალი, 2008 წელი

რუსთავის მე-6 საპრობაციო თანამშრომელთათვის სემინარი მიმდინარეობს

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში დღეს რუსთავის №6 საპრობაციო თანამშრომელთათვის სამდღიანი სემინარი გაიხსნა. ღონისძიება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის რეფორმა საქართველოში“ ფარგლებში მიმდინარეობს. სწავლებას უძღვება ესტონელი ექსპერტი ლაურა კიკასი, რომელიც საპრობაციო სხვადასხვა სამსახურის უფროსებს სასჯელის ინდივიდუალურ დაგეგმვასთან დაკავშირებით ესაუბრება.

21 თებერვალი, 2008 წელი

პრობაციის ოფიცრები შვედების გამოცდილებას იზიარებენ

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სამსახურის თბილისის ბიუროს თანამშრომელთა ექვსკაციანი ჯგუფი, შვედი ექსპერტების ინსტრუქტორობით, უკვე მესამე დღეა სპეციალურ სასწავლო პროგრამას გადიან. ღონისძიება ევროკომისიის მიერ დაფინანსებული პროექტის „პრობაციისა და პენიტენციურ სისტემის რეფორმა საქართველოში“ ფარგლებში მიმდინარეობს. სასჯელაღსრულების სფეროს ექსპერტები სესილია ალგელიუსი და ოლგა ოტტი ქართველ კოლეგებს გამოცდილებას უზიარებენ პრობაციონერებზე ეფექტიანი კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებით. სწავლებაზე განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პირობით მსჯავრდებულებზე დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკის შეფასების მეთოდოლოგიის გამოყენებას. აღნიშნული რისკების მიხედვითაც უნდა შედგეს სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმა და განისაზღვროს რეჟიმი. აღსანიშნავია, რომ სწავლებაში მონაწილე ჯგუფი შარშან, დეკემბერში შვედეთში იმყოფებოდა, სადაც უშუალოდ გაეცნო ადგილობრივი სამსახურების მუშაობის სპეციფიკას. სწავლება 22 თებერვალს დასრულდება.

14 თებერვალი, 2008 წელი

სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლებმა სწავლება გაიარეს

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სოციალური სამსახურის 20-მა თანამშრომელმა სამინისტროს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრში აივ-ინფექცია/შიდსის თემაზე სწავლება გაიარა. მათ ლექციების კურსი შიდსის პრევენცია-მკურნალობისა და პენიტენციურ სისტემაში ამ მხრივ არსებული მდგომარეობის შესახებ მოისმინეს. სწავლება, „შიდსთან, მალარიასთან და ტუბერკულოზთან ბრძოლის გლობალური ფონდის“ პროექტის „აივ-ინფექცია/შიდსის პროფილაქტიკა საქართველოში“ ფარგლებში, „ფსიქოლოგიური ინფორმაციისა და კონსულტაციის ცენტრმა“ ჩაატარა.